ლიტერატურული ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთ „ხაშურის მოამბის" დამატება
№11, 29 დეკემბერი, ოთხშაბათი, 2021 წელი

გზავნილი სამყაროს ...

ჩემო ძვირფასებო, დამდეგ ახალ წელს ჯანმრთელობას, გამთლიანებას, სრულიად საქართველოს ამერიმიერ ულევ სიკეთეს, ღვთის რწმენას, მარად ქართული ღირსების დაბრუნებას გისურვებთ!

საუკუნეების წინ ჩვენ ვიყავით პირველნი მარადიულ ,,შესაქმეში". ვთხოვ სამყაროს, შეგვაძლებინოს ,,ლაშარის გორზე შედგომა!" ,,სიყვარული აღგვამაღლებს, ვით ეჟვანნი ამას ფლერენ," ,,ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია!"

გფარავდეთ ღმერთი, ქართველნო და მსოფლიოს ყველა ადამიანო.

ზეინაბ ხმიადაშვილი

ჩემი მამულის მოყვარულსა დამეჭირისუფლეს, ჩემი ხმის ექომ სამყაროს შემოუაროს. ვერცხლის ჩხრიალით გაბოროტებულ ადამიანებს მსურს შემოვუძახო: – ნუ დაიმძიმებთ წუთისოფლის ცოდვისგან სულს, ნუ დაუშვებთ სანანებელ შეცდომებს. ბოროტება სიკეთეს ვერ გადასწონის...

ჟუჟუნა ცენგირაშვილი-ქვრივიშვილი

ჩემო ცის თვალო

ჩემო ცის თვალო, კარიბჭევ კოსმოსის, როგორ მომინდა, დაგანახო ჩემი თვალით ნამზირალი ჩვენი სამყოფელი, ისე, როგორც ბავშვობისას.

ჩემო ცის თვალო, ცისთვალო და სარკმელო ყველა განცდისა, სიხარულისა და წუხილისა, როგორ მინდა ჩემგან დანახული, შენს თვალებში ასახული გადასტყორცნო ასტრალს, ზესკნელს, ზენას... დაინახო და გადასცე იქ, იმ სამყოფელში იმ სამყაროს მარადიულობას.

ვხსნი ჩემი სულის კარს, ვხსნი ყველა განცდას, სიხარულიდან წუხილამდე, სიყვარულიდან სიძულვილამდე, იმედიდან უიმედობამდე და ასე, განუსაზღვრელ გრძნობათა მთელს კასკადს, და გავალებ, გთხოვ, იმ ბავშვობის ხათრით, იმ სიწმინდისა და სიალალის ხათრით, როდესაც გახსნილად ვსაუბრობდით მე და შენ, გთხოვ, დაინახო, გაიგონო და გადასცე ზესკნელს, რათა უთვალავ სიხარულად, ბედნიერებად და სიყვარულად გარდაქცეული, ჩაჰფინოს ისევ შენს უკიდეგანო თვალებში და ერთ დღეს, სრულიად არაფრისგან გამორჩეულ დღეს, გახსნა შენი ცისთვალი, შენი ცის თაღი და დამიბრუნო უკეთესი...

ამას გთხოვ, სამყაროვ...

ხათუნა ჩიტაძე

ერთმანეთის სიყვარულით გამთბარი, განათებული, ქართულ ადათს, ისტორიას, მტრადნაკიდებულ ქართველებს რომ უმეცრებს, ფურით დაავადებულ ქვეყანას რომ ემეურნალებს, ისეთი სამყარო მინდა! გიგ ბავნი, ჩემს ნილ დადებით ენერგიას, მთელ სიყვარულს სამყაროვ! გვისამველე!

გულნარა ჭელიძე

ვინატრებ, თავისუფლება არ გადაიზარდოს თავაშვებულობაში და აღვირახსნილობაში, ქვეყნის სიყვარული – ყვირილში, მეგობრობა – ფარისევლობაში!

ზიზი ელისაშვილი

ყოველდღიური გზავნილი სამყაროში უდიდესი მადლიერების განცდაა, რომელიც სულით ხორცამდე სიცოცხლის გამოუთქმელი სიხარულით გვავსებს... ყოველი ახალი დღე ახალ სიკეთეს უნდა მივუძღვნათ, ახალ გამოწვევებს ავყვეთ... ახალი ცხოვრება დავიწყოთ.

ხვალე მეიმედება, მიუხედავად ყველაფრისა...

იმედიანი და უკეთესი ახალი წელი მინდა ვუსურვო ჩემს ქვეყანას, ჩემს ქართველებს...

უფლის წყალობა და იმედი მუდმივად იყოს ჩვენი მეგზური. გილოცავთ დამდეგს!

ნატო ლონიკიშვილი

დედა-სამყაროს ბინადარი კაცობრიობა ბიოლოგიურ ომში იმყოფება!!!

როდის დაიწყო სამყაროს ათვლა? – ეს იცის მხოლოდ ზე-გონის არსმა, რომელიც ამბობს: ,,ვიყავი, ვარ და ვიქნები რომელ"...

ამ სამყაროის სასრულ-საწყისის...

უკუნისამდე, ყოვლისა მპყრობელ!!!

მე არას ვეუბნები ყოველივე არაღვთიურს! ანომალიურს!

მშვიდობა, სიკეთე და სიყვარული გადაგვარჩენს მხოლოდ!

მაკო მაჭარაშვილი

ღვაწლი

ბაგრატ გოცირიძე – ჩვენი თანამოქალაქე პროფესიით პოლიტ-ეკონომისტია. ჩემი, როგორც სკოლის დირექტორის ფავორიტი იყო, ყოველთვის პასუხისმგებლობით, სანიმუშო სწავლითა და ურთიერთობებით გამორჩეული.

ბოლო წლებში მასში პოეზიამ იფეთქა და ისეთი გრძნობით სავსე ლექსები შეაქმნევინა, გულგრილს არავის დატოვებს.

ბედნიერი იყოს, ჩემო ბაგრატ, შენი შემოსვლა ჩვენი ქალაქის ლიტერატურულ ცხოვრებაში.

მურად მთვარელიძე

თეატრალური საქართველო

საქართველოს შეღამების ფერს,
როს დაუშვებს მწუხრი ფარდას ძირს
და თეატრში მოთამაშე ერს
ცა ტაშს გვიკრავს, შეძახილით: ,,ღირს”...
სანამ სცენის შეეჩვევა მტვერს,
ვარჯიშობს და როლებს როლით ბრდღვნის.
არ დაეძებს მოყვარეს, თუ მტერს,
ეს სცენარი ერს საშინლად ღლის!..
ტრაგედია შეუთავსეთ მღვდელს,
მომღერლობა დაავალეთ ვირს!
ბრძენის ქუდი ჩამოაცვით შტერს,
რომ დაგვმოძღვროს: ,,ისტორია ძირს!“
ვარიეტეც ამ სცენარში დევს,
ცოტაც კიდევ, – მოგვაგონებს ცირკს!
კიკილაც რომ შევაჭამოთ დევს,
მაშინ, დრამა, ხომ მიაღწევს პიკს?!
პანტომიმაც წარვუდგინოთ მრევლს,
გვერდით, ვითომ გმირი, კომბალს თლის.
განწირული საქართველო ხელს
მოწვეული სტუმარივით შლის...
– ტაში, ტაში მივაგებოთ ერს! –
რეჟისორი ცრემლებს ღვარად ყრის,
სიცილისგან ხელზე ირტყამს ხელს,
დამცინავად გაიძახის: ,,ბის!“
დაეკარგა მოთამაშე ერს
დასაწყისი ჭეშმარიტი გზის!
იქნებ მაინც, შეევეედროთ ღმერთს,
გზა გვიჩვენოს და ნათელი მზის!..

* * *

ლეღვმა გადახსნა ტუჩები, კოცნა სიმწიფის ფერშია,
ყურძენს დაეტყო ალმური, სხივთ თრობა ყოველ წვეთშია.
ვაშლის ხის მწიფე ნაყოფს ხომ, გაღვიძებული მზე ქვია,
სავსე ქალური სურნელით, ეს შემოდგომა გვეწვია!
თანდათან, უკვე ეტყობა მომავალ ფერებს მოწყენა,
ფოთლებს – სიბერის ძახილი, სხვა სამყაროდან მოწვევა.
მათი სიკვდილით ჩემში ხომ, ფიქრები გონში მოწყდება,
მიწას დაფენილ ფოთლებში უსასრულობა მოწმდება...
რა მიხაროდეს, არ ვიცი, – ქალის სურნელით სიკვდილი,
თუ გაზაფხულის მოსვლა და ახალი გრძნობის კივილი?
ამ ორი განცდის ბრძოლა და მარადიული ჭიდილი...
რითი შევავსო ეს სული, – გრძნობით სიგიჟის ჩივილი?!

* * *

ვიხსნი ვენებს,
სისხლში ვნებებს
ვანებივრებ.
დახსნილ ძარღვებს
და სისხლს ნაღველს
ვაღვრევინებ.
წითელ ფერებს,
სულს ნაფერებს
ვაფერ-ღვინებ.
ფიქრს, მთვრალ დროში,
გრძნობის ტბორში,
ვარწყვევინებ!
მელულება,
მეხუჭება, –
დამყოლია...
ბინდი დგება,
მოდის ნება...
რა მქონია?!

რაღაც წამის,
ბოლო ჟამის
აკორდია,
ციდან მოთქვამს
სინამდვილის
აგონია!
გაცლა ცდაა,
არდაცდაა
სიმარტოვის.
რა ძალაა,
ან განცდაა
მიზნად ყოფნის!..
თუ სხვის დაცდა
დროს გადაცდა,
ის არ მოდის...
არ დაცალდა,
გარდაცვალდა
წამი ყოვლის!

ნიშრის სცენარი

ნანა კვაშილავა – პროფესიით რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი, ორი პოეტური კრებულის ავტორი გახლავთ. მისი ლექსები ბავშვობის მოგონებებით ფაქიზი, ადამიანური გრძნობებით, სიყვარულითა და სამშობლოზე ფიქრით არის სავსე.

შორეულ ემიგრაციაში გატარებულმა წლებმა კიდევ უფრო გაუღვივა სიყვარული მშობლიური ზუგდიდისადმი, ლტოლვა სამშობლოსადმი.

ვულოცავთ ქ-ნ, ნანას საქართველოს მწერალთა კავშირის რიგებში გაწევრიანებას და გთავაზობთ მის ლექსებს.

ფიქრი

სულ ფორიაქობს, არ ისვენებს, –
თოთო ბავშვივით ჭირვეული,
შემოგატარებს ქარვის ველებს,
გაუმკლავდები ჭირს ეული.
თუ სიყვარულით ანანავებ,
ფიქრს დაუყვავებ, თან, ალერსით,
გამოაცურებს წყნარად ნავებს
ღამის ზღაპრიდან ,,ათას ერთი”...
და დაგიხატავს ლამაზ ღიმილს –
მთვარეს, ჩავარდნილს სახის წყალში...
ფიქრო, სტუმარო სულის მღვიმის,
მადლობა, რომ აქ ჩამისახლდი!

* * *

სხვა მოლოდინით, სხვა მონატრებით
ჰყვება ზამთარი ძველ ისტორიას,
ციდან დაეშვნენ არგონავტები
იქ, სადაც მიწა ზეცის ტოლია...
სადაც იფრქვევა თოვლის სურნელი,
თითქოსდა იქვე პურის თონეა,
სადაც სასწაულს მუდამ სულ ელი
და ლექსი თეთრი ეპისტოლეა...
ფიფქის ყვავილებს ათოვს ნატვრებად,
მინდორს, გადაშლილს თოვლის ედემად,
ციდან დაეშვნენ არგონავტები
და მითებიდან მოჰქრის მედეა...

* * *

მოდი და თოვლი დამანათლე,
თოვლით ამივსე კარ-მიდამო,
კრძალვით მომართვი ამანათი,
არ თქვა: რა თოვლზე ახირდაო!
გინდა გამხადე დახლიდარი,
გინდა დამადგი თოვლის მიტრა,
სამყარო თეთრი სახლი არის,
რომ მოჩანს ჩემი ორბიტიდან...
თოვლს ეზიდება ბედის ამწე,
თოვლს ჩავატანე გემო, მადა,
რომ მერე გული აღარ დამწყდეს,
თუ უცებ ხელში შემომადნა...

მომენდე

მომენდე! – მითხრა და გავყევი,
ქარმა მაფარფატა, მატარა,
რყევით გააშიშვლა არყები,
ჩემგან რა უნდოდა, ნეტავ რა?..
მომენდე! – დავფიქრდი და...ვენდე!
ცრემლს ვითვლი, წვიმების ნაბოძარს,
ზამთარს ვეამბორე ცივ ხელზე,
ზეციურ და სპეტაკ ამორძალს.
დამმარხავს თოვლში ეს სიუხვე
ფიფქების, სევდა რომ მოდენის,
ძვირფასო, არ მითხრა – მომენდე!
მე უკვე ვიცი, რაც მომელის...

მესტუმრე ლექსიდან

თუ ველარ ბრუნდები,
გზა ზვავმა ჩახერგა,
ნისლებმა წაშალეს
მზის სახე მცინარი,
შენ მაინც რამეფრად
წამოდი, იარე!
სადაც გულს იპოვი,
სამოთხეც იქ არის.
სტუმრისთვის ღიაა
გული და საფარი –
სავსეა დოქი და
სურვილის ფიალა,
გზას ველარ იკვალავს
სიმშვიდის მაყარიც,
ჩემთან რომ უშენოდ
კვლავ დაიგვიანა...
მესტუმრე... და ვფიცავ,
შევმატო ხალისი
ამ დღეებს... ამ ლოდინს,
ლოდივით ვერ ვზიდავ –
იყავი ის, ვინც ხარ,
არც ჩემი, არც სხვისი,
მესტუმრე, გადმოდი
პირდაპირ ლექსიდან...
ვეჩვევით რასაც...

ცხოვრების თეატრი

გახუნებულა ოცნების ტილო,
გარდასულ დღეთა სევდას შევნატრი,
ო, იქნებ ვინმემ, ვით ბურატინომ
აღმოაჩინოს ჩემში თეატრი...
სად მოგონებებს აყრია მტვერი,
მწარე წამები ღიმილით ვლიე,
დრო, ვით ასანთის დამწვარი ღერი
გაანათებს და მიბრუნებს იერს.
ეს გახსენება საკუთარ თავის,
ეს აღმოჩენა ფარულის, დიდის –
როცა ცხოვრება კარგით თუ ავით,
ერთ გაღიმებად, ერთ ცრემლად
გიღირს...

* * *

სულო, ცაში გიყვარს ნავარდი
და ბაძავ ფრენაში არწივებს,
თუ ეკალ-ბარდებში ჩავარდი,
ქარებმა გლეწეს და გარწიეს...
თუ თავი ვერაფრით ალაღე,
სიტყვებს აქ განძივით მოზიდავ,
აქვეა კალამი, ქაღალდი,
ავფრინდეთ საწერი ზოლიდან...

მარგინალიები

მაყვალა ხაჩიძე

* * *

მამი, შენი სინდისი ნაბადივით მოვიხურე მხრებზე, თავს დაცულად ვგრძნობ.

* * *

შეშინებული ბავშვივით შევეფარე საკუთარ ჩრდილს და მხოლოდ მაშინ გამოვედი, როცა სინათლე სხეულში კი არა, სულში ჩამეღვარა.

* * *

მადლიერება ის სავიზიტო ბარათია, რომელიც სამოთხის კართან მიგიყვანს.

* * *

სიკვდილი ყველაფერს ანადგურებს, სიყვარულის გარდა.

* * *

სანამ დიდ შარაზე გახვალ, ჯერ ოღროჩოღრო ბილიკები უნდა დალაშქრო.

* * *

სამოსი შინაგან სამყაროს ამზეურებს.

* * *

თუ სამყაროს არ მიაყურადე, მრავალი პასუხგაუცემელი კითხვა დაგრჩება.

* * *

იდუმალი სამყაროს გასაღები მხოლოდ ღმერთს აქვს, მიენდე მას და კარიც გაიღება.

* * *

ადამიანის სულისა და გონების ჭურჭელს მხოლოდ ღვთის თვალი სწვდება.

* * *

პირქუშიაო სამყარო, – ვინ თქვა? მთავარია, შენ როგორ ხედავ მას.

* * *

სათითეში დავაბუდე ჰაერი, გაჟღენთილი დედის თითის სურნელით.

* * *

ვინც ბევრს ლაპარაკობს, შეცდომასაც ბევრს უშვებს.

* * *

ლოცვით ჩააქრე შენს გულში ხანძრები და ქარიშხლები, მიწისძვრა რომ არ მოჰყვეს.

* * *

ადამიანო, ეს სამყარო შენთვის შეიქმნა,
მადლიერება გამოხატე ყოველ ცისმარე
და გაიაზრე სიტყვის ძალა, მისი რაობა, თორემ გახდები
მიწის მტვერი, არარაობა.

* * *

ბედნიერების მოსურნეს ზომიერება სჭირდება,
დილით გულწრფელი ლოცვები სულში მზესავით ბრწყინდება
და გაღებული სიკეთით ხელახლა მადლით ივსება.

* * *

თვალი მუდამ სინათლეს ეძებს, გონება – ჭეშმარიტებას,
გული – გულს, ხელები – სითბოს.

* * *

ბედი მხოლოდ ბედის მაძიებელს უღიმის.

* * *

წყალმცენარე ვარ შეყუჟული ზღვის ჩქერალებში, არა მსურს მაღლა, ზედაპირზე ამოვტივტივდე.

* * *

მე სიმარტოვის შემეშინდა და გულის კარზე მოგიკაკუნე, საუბედუროდ, შინ არ დამხვდი.

* * *

ჩემი დაღლილი გული შენს ხელისგულზე
ჩამოვასვენე და ახლა განაჩენს ველი.

ახალი წიგნი



მაყვალა ხაჩიძის
„დროის კრიალოსანი"

მოლისფერ ფონზე ქარვისფერი კრიალოსნის მზე-საათიადასვენებული... წიგნს ფრთხილად ვშლი... ავტორის მესამე თვალის ლინზით დაშლილ ფერებში ვმოგზაურობ, ვკითხულობ და ვგრძნობ, როგორ ფრთხილად დააბიჯებს იგი ხაზიდან ხაზში, სტრიქონიდან სტრიქონში, გულიდან სულში... სატირამოსხმული ლირიკის ტკივილგამძლე სხეული ნატყვიარ მკერდს სიყვარულის ფთილებით ფარავს; ახალბედასავით, გაცნობისა და განაჩენის მოლოდინშია...

„დავბორიალებ ჩემი სულის ლაბირინთებში და ვეძებ გარე სამყაროში გასასვლელ ბილიკს"...

„მოფიფქულია ჩემი გაყინული გული, ე მანდ ფეხი არ დაგისხლტეთ!"

„ღველფში გახვეული ღადარივით მწვავს ახალგაზრდობის მონატრება და ვგრძნობ, როგორ მოკლდება ჩემს ხელისგულზე ბედისწერის ხაზი".

„მამულს ვერასოდეს ვუმკურნალე, მე მხოლოდ მტკიოდა". – ეს სტრიქონები იმ მრავლისმთქმელი მარგინალიებიდან გახლავთ, რომელიც მაყვალა ხაჩიძის სავიზიტო ბარათია ღორღიანი სანგრების გადასალახად...

არის ლექსები, – ცხოვრების ნაკვალევზე ამოსული იები, თუ ზამთრის მოახლოების შიშით გატრუნული ქრიზანთემათა ფერები... პროზად ქცეული ცხოვრებისეული შტრიხები, თუ ცრემლნარევი მოგონებები მათი, ვინც მხოლოდ ფიზიკურად დაგვშორდნენ... ხსოვნის გვირგვინებს სტრიქონებით ქსოვს და მარადიული ცეცხლის კოცონთან, სულიერი კავშირის რგოლში, ისევ მათთან გვაბრუნებს...

ჩვენს თვალწინ აბსტრაქცია განიცადა სიყვარულმა... მოძრაობს, ნაწილდება, ხილულია და ხელშესახები... და, იქნებ, მარაგის ამოწურვის შიშით, ყველგან, ყველაფერში თვითონ დაეძებს სიყვარულსა და სითბოს. და დადის ასე, სიყვარულისა და სიმშვიდის თავშესაფრის მუდმივ ძიებაში, თავმდაბლობით ამაღლებული ჩვენი პატარა ხაშურ-ქალაქის მემატიანე... სწორედ ამიტომ წერს „ხმადაბლა", ფრთხილად, მოზომილად...

ჩვენ გვყავს მაყვალა ხაჩიძე – განუმეორებელი ხმით, ხელწერით. მოლისფერ ფონზე ქარვისფერი კრიალოსნის მზე-საათია დასვენებული... ისარი მისი შინაგანი მდგომარეობის მაჩვენებელია...

კლარა გელაშვილი

* * *

„დროის კრიალოსანი" მაყვალა ხაჩიძის ახალი წიგნია, რომელიც მოიცავს მწერლის ბოლო წლების შემოქმედებას.

წიგნის შინაარსი მრავალფეროვანია: პოეზია, პროზა, გულისთქმანი, მარგინალიები, რომლის გაცნობის შემდეგ, მკითხველს მრავალი საინტერესო დასკვნის გამოტანა მოუწევს. აქ გადმოცემული განცდები უცხო არ არის ადამიანისთვის, მასში მკაფიოდ იკვეთება თანამედროვე ადამიანის ფასეულობები. მწერალი ფიქრობს, აკვირდება სამყაროს არა მარტო თავისთვის, მისი ,,მე"ცხოვრების და სხვათა შეცნობის გზაცაა, ყოფნის თუ არ ყოფნის სევდა, ბუნების ძალა და ჰარმონია.

ვულოცავ ჩემს შესანიშნავ მეგობარს, მაყვალა ხაჩიძეს – ჟურნალისტსა და მწერალს ახალი წიგნის დაბადებას.

შოთა დარბუაშვილი

მნიშვნელოვანი წარმატება!

შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა გამარჯვებულად ცნო ქვიშხეთის დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის ფონდების მცველის, ფილოლოგიის დოქტორის კლარა გელაშვილის მიერ საკონკურსოდ წარდგენილი პროექტი ,,ყიფიანები და განათლება". პროექტის მასპინძელი ორგანიზაციაა ხაშურის სამუზეუმო გაერთიანება, მენტორი – მურად მთვარელიძე, პოეტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

ვულოცავთ ხაშურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანებას და მის ნიჭიერ, ბევრი ადამიანური ღირსებით დაჯილდოებულ თანამშრომელს, პოეტ ქალბატონს, კლარა გელაშვილს ამ დიდ წარმატებას!

ჟურნალისტური ჩანაწერები



მაია კახიძე – ესტრადის მსახიობი, ჟურნალისტი, მწერალი, ათი წიგნის ავტორი, წლების განმავლობაში მისთვის ჩვეული მუხტითა და უშუალობით არაერთი საღამოს, კონცერტისა თუ ღონისძიების წამყვანი. უამრავი ცნობილი საზოგადო მოღვაწისა თუ ხელოვანის ინტერვიუ და ფოტო-მასალა ინახება მის პირად არქივში, რომელსაც პერიოდულად აწვდის ინტერნეტ-სივრცის მკითხველს მისი გვერდების „ფიქრიმაიები თქვენთვის“ და „მე თბილისი მჭირს, რაც დავიბადე“ საშუალებით. განსაკუთრებით საინტერესო და აქტუალური იყო გაზეთ „ასავალ-დასავალში“ მის მიერ დაარსებული რუბრიკა „კრიმინალური ჟურნალისტიკა“. მრავალფეროვანია მისი კრებულების თემატიკაც.

გაზეთი ლიტერატურული ხაშური“ ქ-ნ მაიას ულოცავს საიუბილეო თარიღს და მის ლექსებთან ერთად, გთავაზობთ ნაწყვეტს მისი ჟურნალისტური მოგონებებიდან.

რაც არასოდეს მითქვამს

ამაყი ვარ, ჟურნალისტთა და მწერალთა კავშირის წევრი რომ ვარ, ათი წიგნის ავტორი. ყველა წიგნი შვილივით მიყვარს. გულს მითბობს ჯილდოებიც, თუმცა, ჩემთვის ჯილდო ჩემი პროფესიების განსაკუთრებული სიყვარულია. მღელვარებით დავწერე ჩემი ერთ-ერთი წიგნიც – „რაც არასოდეს მითქვამს“. ამ წიგნში ის ჟურნალისტური მოგონებები შევიდა, რაც ჯერ კიდევ მახსოვდა და არ მინდოდა დაკარგულიყო...

15-16 წლის გოგო კინოოპერატორობაზე ვოცნებობდი, მერე არქეოლოგობაზე, მაგრამ მამამ გადამაფიქრებინა, – გოგო ფიზიკურად ამას ვერ შეძლებსო.

ჩემი ქვეყნის მთავრობა ყოველთვის მაღალი მთა მინდოდა ყოფილიყო. რატომ და... მაღალი მთიდან სუფთა ჰაერი უბერავს. ჰოდა, რაც უფრო მაღალი მთა იქნება სახელმწიფო, მით კარგად ჩავისუნთქავთ და ამოვისუნთქავთ.

ყველა ჟურნალისტს უამრავი მოგონება აქვს, ცუდი უფრო მეტი, თუმცა, ბევრი კარგიც და ჭკუის სასწავლებელიც. პირადად მე, ისეთ ადამიანებს შევხვედრივარ, ბევრი რომ ვისწავლე მათგან.

ჩემს ჟურნალისტურ ცხოვრებაში არაერთი მძიმე დღე იყო. ყველაზე მძიმე კი – როდესაც ორი დღის განმავალობაში ათ სიკვდილმისჯილს შევხვდი ორთაჭალის ციხეში. მერე კარგა ხანს ვიყავი ავად, არაფრის ძალ-ღონე არ მქონდა. რაც შევძელი იმ დღეს, ნამდვილად გავაკეთე. ჩემს წინ ისხდნენ უკან ხელბორკილიანები და ჩემი თხოვნით, წინა მხრიდან შევაკვრევინე, რომ ყავაც დაელიათ და სიგარეტიც მოეწიათ, ჩემთვის უმძიმესი მათი თვალები იყო, ხმა, ინტონაცია... გავეცანი მათ საქმეებს და რაღაც პერიოდის შემდეგ, ერთს, კალანდია იყო გვარად, შეუცვალეს განაჩენი, ორიოდე თვეში კი, როდესაც სიკვდილმისჯილები ყოველ წამს დახვრეტას ელოდნენ, საერთოდ გაუქმდა ეს, სასჯელის უმაღლესი ზომა.

იმ საქართველოში ციხის ხელმძღვანელებისგან არასოდეს შემქმნია პრობლემა მუშაობის პროცესში, ხელს მიწყობდნენ, სხვა საქართველო იყო, ნამდვილად...

მერე და მერე ბევრი რამ შეიცვალა...

მახსოვს, ჯაბა იოსელიანთან ციხის საავადმყოფოში როგორ მოვახერხე შესვლა. ვისაუბრეთ, ფოტოც მაქვს. მალევე ისეთი ალყა შემომარტყა უამრავმა „ჰალსტუხიანმა...“ „ამწიეს“ და ციმციმ წამიყვანეს ერთ დიდ კაბინეტში, ჩამართვევინეს დიქტოფონი და ბოლომდე მოუსმინეს ჩანაწერს. არც არაფერი იყო ისეთი, ახალ წელზე და მსუბუქ თემებზე ვსაუბრობდით, მაგრამ „ჰალსტუხიანებმა“ ის არ იცოდნენ, დიქტოფონის გარეშე რაზე ვისაუბრეთ და რა გამიმიხილა ჯაბამ. ბოლოს, დამიბრუნეს ჩემი მარჩენალი „პანასონიკი“ და ვერაფერი რომ ვერ მინახეს ხელჩასაჭიდი, უხასიათოდ გამომაცილეს. მხოლოდ ის უკვირდათ – როგორ, რანაირად შემოაღწიე „რესბალნიცაშიო.“

არც მაშინ შემშინებია! (დღეს კი მეშინია...)

შემდეგ იყო და ქუთაისის ციხის უფროსის მოადგილეზე, ბადრი დეისაძეზე დავბეჭდე დიდი სტატია და თბილისში გამომცემლობაში მომივარდა, იარაღი დამადო, გიორგი აბდალაძეს ფოტოაპარატი ჩამოგლიჯა, ვანო პავლიაშვილსაც მოკვლით დაემუქრა. მოკლედ, ამაზე ბევრი დავწერე და, მადლობა ღმერთს, ვერ მოგვერია. მერე კი ცოლთან ერთად მოკლეს (როგორც ვიცი, აწამებდა პატიმრებს. იქნებ შურისძიების გამოც მოხდა ეს ფაქტი, ვერ გეტყვით...).

ერთხელ, გაზეთ „ასავალ-დასავალში“ სხვა რედაქციის რედაქტორი მოვარდა დაცვის ორი წევრით და ავტომატით. ისინიც გავისტუმრე რედაქციის კარზე აწებებულმა. მერე ერთი კვირა ხმა არ მქონდა, ისეთი მღელვარება გადავიტანე და რედაქტორამდე მაინც არ მივუშვი.

გორი გამახსენდა, „მხედრიონელებს“ რომ გადავუდექი: – მე მესროლეთ-მეთქი! მომღერალ მეგობარს მიკლავდნენ, მანქანით ვიყავით, გაგვაჩერეს და... მადლობა უფალს, გადავრჩით. ჩემი მანდილი ყოველთვის ჩემი ენა იყო და არის, რა თქმა უნდა. მაგრამ წლები...წლებიი...

ჭიათურაში კონცერტის შემდეგ ადგილობრივი „ტიპები“ დაგვხვდნენ თეატრთან და თანხა მოგვთხოვეს. პოლიციამ – სასწრაფოდ წადით აქედან, ვერაფერს გიშველითო. ოთხმა ადამიანმა როგორღაც გამოვასწარით, მაგრამ მთელი გზა, ღამე იყო და, სულ მეგონა, უკან მოგვდევდნენ...

ცხონებულ რობერტ ბარძიმაშვილს კრწანისში, შევარდნაძის გვერდით ჰქონდა აგარაკი. ჰოდა, შემაპარა. ავცოცდი მანსარდაზე, ფორთხვით ვიარე სულ და მუხლებგადატყაულმა ფოტოები მაინც გადავიღე. ბოლოს, რობერტმა მანქანის უკანა სავარძელზე გაწოლილი გამომიყვანა იმ ზონიდან. არადა, მართლა არ ვიცოდი, იქვე, ზემოთ, მთაზე, სნაიპერები ჰყოლიათ თურმე. გადავრჩი, ვერ შემამჩნიეს ფორთხვის დროს. მერე, მასალა და ფოტოები რომ დავბეჭდე, ვინ მოხსნეს და ვინ არა, არ ვიცი.

ერთ გაზაფხულზე, პირდაპირ რედაქციაში, ვიღაც უცნობმა უცნობი აირიც შემაფრქვია სახეში. ათი დღე სად ვიყავი, არ მახსოვს. მერე იყო და თავსაც დამესხნენ, საქმეც აღიძრა, მაგრამ არავის არავინ უპოვია... სამაგიეროდ, მე ვიპოვე დიაგნოზები!

...უჰ, შევხვედრივარ 10 თვის შვილის მკვლელ დედას, სამი ქმრის მკვლელსაც, თანაკურსელსაც, რუსთავის კოლონიაში, მთელი ღამე შემთხვევის ადგილზეც ვყოფილვარ და მიმუშავია პოლიციელების მხარდამხარ, როგორც შემძლებია, ადამიანებს დავხმარებივარ კიდეც.

სამართლიან მოსამართლესაც ვიცნობდი, ჯავახია იყო გვარად... ჩემს წინ ატირებული გენერალური პროკურორიც მინახავს. ღირსეული პოლიციელებიც შემხვედრიან: შსს მინისტრები შოთა გორგოძე და რომან გვენცაძე, გენერალი დემურ მიქაძე, გენერალური პროკურორი ვახტანგ რაზმაძე, ელგუჯა ჯამბურია, თემურ ანჯაფარიძე, ნუგზარ ღამაბაშიძე... სამხედრო უწყებებიდან – გენერალი გუჯარ ყურაშვილი და დღევანდელ მედიაში ყველაზე უშიშარი სამხედრო ჟურნალისტი ქალი ზაირა მიქატაძე...

ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი რამ მინახავს ათეული წლების განმავლობაში...

უამრავი ამბავი შემიძლია გავიხსენო და ეს დაუსრულებელი იქნება.

ნუ გეშინიათ სიყვარულის! გვიყვარდეს ერთმანეთი, დავინდოთ და ნუ გავწირავთ ერთმანეთს...

ფიქრიმაიები თქვენთვის...

ვუძღვნი გარდაცვლილ პოეტებს

რაღაცნაირი დღე გათენდა,
ფერნაცვალი, ტიციანივით,
ღრუბლებზე სხედან სერაფიმები,
ხან მეტირება, ხან ვლოცულობ,
ხანაც ვიცინი,
წვიმს და სხეულზე წრიალებენ
წვიმის თითები...
რაღაცნაირი ცაა ახლა, უფერული,
დარდივით თითქოს,
და შუბლშეკრული დაბალახობს
გარეთ ზამთარი.
ნისლებს აცმევენ თოვლისფერ ქიტონს
და დაფერფლილი კვნესის ახლა
ღამით ღადარი.
იქ, იმიერში, იმ სოფელში,
ვერცხლისფერი ღრუბლების იქეთ,
შეკრებილან ლომგულები,
ნაღდი კაცები,
გადმოგვყურებენ სიყვარულით
აქ, სააქაოს:
გოგლა და გალა, მირზა და ლადო...
რომელი ერთი?..
თავად უფალი, თბილი თვალებით...
სხვა სინათლეში, სხვა ამინდში,
სხვა საუფლოში,
ჰო, ყველაფერზე მეტია ღმერთი
და, იმიტომაც, წვიმს ხოლმე ასე...
ცრემლი წვიმს ბევრი, მონატრება,
ზურგის ქარები...
რაღაცნაირი დღე გათენდა,
ფერნაცვალი, ტიციანივით...
მათ შესანდობარს სულთა შაბათს
იტყვის ლაზარე,
მზეც გამოჩნდება,
ხან ტირილით, ხანაც სიცილით
და უფლის ნებით გამოაღებს
ზეცა დარაბებს...
დაისის სუნთქვა, მნათი ესე,
ზეცა მაღლივი,
ტაძრის ეზოში მოფრენილი
ჭრელი ნიბლია,
გამოთხოვებით არის, თურმე,
გული დაღლილი,
ხელში მიჭირავს ცრემლნაწვიმი
წმინდა ბიბლია...
საღამო ხანი, ისევ ფიქრი, ისევ...

სულსაკარები

გამოგედევნე,
ღვთის ანაბარად
დაგრჩენოდა
ზეცის კარები...
ხელი შეგახე გულის ტოლი
სევდა-ტკივილით,
შენ ძველებურად შემაშველე
ეგ მკლავები, სულსაკარები
და ქრისტეშობის ტირისდენით
უბეს მივსებ ჩემში მარებით.
ჩამომიფრინდი ბეღურასავით,
ისეთი თბილი,
ბუმბლია ბარტყი,
ანაზდად თვალი
გამექცა ცისკენ,
ცა იყო ჯერაც ცისფერი, ნაღდი.
ამოვიტანე ლოცვანი გზა-გზა,
თორმეტი მთვარით ღამენათევი,
თვალებზე ცაი გადამეღვარა,
ათინათები, თანაც, რამდენი...
გამოგედევნე,
ხელი შეგახე,
აგხედ-დაგხედე...
ქრისტეშობისთვემ
წელსაც მაჩუქა
უფლის თვალები...

რედაქტორი ეკა ბაქრაძე